

**Kakhaber Loria**

Javakhishvili Tbilisi State University (TSU), Georgia

## **The realism in Henrik Ibsen's Dramatic Writings (in Georgian).**

კახაბერ ლორია (ოსუ-ს პროფესორი)

### **რეალიზმი ჰენრიკ იბსენის დრამატურგიაში**

ჰენრიკ იბსენი ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა დრამატურგიის ისტორიაში. მას ხშირად, სავსებით დამსახურებულად, სკანდინავიელ შექსპირადაც კი იხსენიებენ. იბსენის პიესები კვლავაც დიდი წარმატებით იდგმება მთელს მსოფლიოში. ის, რომ დიდი ნორვეგიელი დრამატურგი ესოდენ მიმზიდველი ავტორია თანამედროვე პუბლიკისათვის, არაერთი მიზეზით აიხსნება. მათ შორისაა იბსენის შემოქმედების გამორჩეული ზედროულობა და თვალშისაცემი მრავალფეროვნება.

იბსენმა ხანგრძლივი და რთული შემოქმედებითი გზა გაიარა, დაწყებული ჯერ კიდევ 1849-50 წლებში შექმნილი პირველი დრამით “კათილინა”, დამთავრებული 1899 წელს შესრულებული შედეგით- “როცა ჩვენ მკვდრები ვიღვიძებთ”. და მაინც, რას ეხება, საზოგადოდ, დიდი სკანდინავიელის მხატვრული მემკვიდრეობა? ერთხელ, როცა რამდენიმე გიმნაზისტმა მწერალს მიმართა და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა თავის ერთ-ერთი დრამის შესახებ, გენიალურმა შემოქმედმა, ისე თითქოს დაღლილი იყო ამგვარ შეკითხვაზე პასუხის გაცემით, რამდენიმე სიტყვით უპასუხა: “... უპირველეს ყოვლისა ეს რა თქმა უნდა, თხზულებაა ადამიანებზე და ადამიანების ბედზე.” (ტვეტეროსი... 1981: 91). თუმცა, ადამიანი და მისი ბედი შეუძლებელია საზოგადოებისა და ისტორიისაგან იზოლირებულად წარმოიდგინო და ამას ჰენრიკ იბსენის შემოქმედება შესანიშნავად აჩვენებს. იბსენმა, ბუნებრივია, ძალზე კარგად იცოდა, რომ საზოგადოებას შეუძლია მნიშვნელოვანწილად განსაზღვროს ადამიანის ბედი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ თავად არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი, ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ფიზიკურად ადევნებდა თვალს ნებისმიერ ცვლილებას საზოგადოებაში, ამხელდა რა თვითკმაყოფილ სახელმწიფო მოხელეებს, გაუმაძღარ კაპიტალისტებს თუ ცრუპენტელა პოლიტიკოსებს პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა ფრთაზე. იბსენის არაერთი პერსონაჟი ხშირად დამარცხებას განიცდის წინააღმდეგობებით აღსავსე საზოგადოებასთან ბრძოლაში, ბრძოლაში გაბატონებულ მორალთან, დამკვიდრებულ ცხოვრებისეულ მოდელთან, რომელსაც ადვილად ვერ დაარღვევ და შეიძლება, პირიქით, თავად დაგამსხვრიოს. პიროვნული თავისუფლება, ინდივიდუალური თავისთავადობა მკაცრ სოციალურ არტახებშია მოქცეული. ადამიანებს აკლიათ გამბედაობა, რადგან სინდისი, ამა თუ იმ ფორმით, დალაქავებული აქვთ, წარსულში ესა თუ ის შეცდომა აქვთ ჩადენილი და ეშინიათ, ეს მათ წინააღმდეგ არ იქნეს გამოყენებული. ამიტომაც ზოგჯერ ლაჩრულად იქცევიან, დრკებიან, უკან იხევენ და, შედეგად, არცთუ იშვიათად ტრაგიკულ ვითარებაშიც ვარდებიან. შესაბამისად, “საზოგადოება ანადგურებს ინდივიდს. და სწორედ ინდივიდია იბსენის საქმე” (ტვეტეროსი... 1981: 91 ).

როგორც უკვე აღვნიშნე, იბსენმა ხანგრძლივი და რთული შემოქმედებითი გზა გაიარა. 1850 და 1860-იან წლებში, ისე როგორც მთელს ნორვეგიულ ლიტერატურაში, ასევე მეტ-ნაკლებად იბსენის შემოქმედებაშიც ერთმანეთის გვერდი-გვერდ თანაარსებობენ რომანტიზმი და რეალიზმი. იბსენის ადრეული (პირველი) ისტორიული დრამები სწორედაც რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ხელწერითაა შესრულებული (თემატიკურად ისინი ნორვეგიის შორეული ისტორიული წარსულით საზრდოობენ. იმავდროულად საკმაოდ თვალშისაცემია მცდელობა იმ ენობრივი სტილის მიბაძვისა, რომელსაც უძველეს სკანდინავიურ საგებში ვხვდებით). რწმენა და ერთგულება ადამიანის მოწოდების მიმართ, ისევე როგორც რწმენა თუ იჭვი საკუთარ შესაძლებლობებში, არის ის თემა, რომელიც იბსენის ბევრ ნაწარმოებს გამჭოლ ხაზად მიყვება. ეს ეხება როგორც ისტორიულ დრამებს, ისე, რა თქმა უნდა, ე.წ. იდეათა დრამებს, რომელთა შორის განიხილავენ სამ ძალზე ცნობილ პიესას: “ბრანდი”(1866წ.), “პიერ გუნტი”(1867წ.) და “კეისარი და გალილეელი” (1873წ.).

მას შემდეგ, რაც 1877 წელს გამოდის იბსენის პიესა “საზოგადოების ბურჯნი”, იწყება აშკარა გარდატეხა დიდი დრამატურგის შემოქმედებაში. მართალია, იბსენი ძნელად თუ განეკუთვნება რომელიმე ერთ ლიტერატურულ სკოლას ან მიმართულებას, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ის მაინც, უპირველეს ყოვლისა, როგორც რეალისტი მწერალი შევიდა და “საზოგადოების ბურჯნი” არის სწორედ ის ნაწარმოები, რომლითაც რეალიზმი თავის ჩამოყალიბებული სახით გვევლინება იბსენის შემოქმედებაში. ამ და ქრონოლოგიურად მომდევნო დრამებში მწერალი ეხმაურება ცნობილი დანიელი თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის გეორგ ბრანდესის (1842-1927) შეხედულებებს. ლექსში “ჰენრიკ იბსენს”, რომელიც ახალგაზრდა პაციენტმა გეორგ ბრანდესმა 1871 წლის 10 იანვრის ღამეს რომის საავადმყოფოში დაწერა, ავტორი პასუხს სცემს იბსენის წერილს მის მიმართ, სადაც ლაპარაკია “გადატრიალებაზე ადამიანთა სულებში”. ბრანდესის ამ ლექსში მოცემული ფრაზა- “Sandhed og Frihed er et og det samme” (“სიმართლე და თავისუფლება ერთი და იგივეა”), ფაქტობრივად, სკანდინავიური რეალიზმის დროშაზე წარწერილ ლოზუნგად იქცა, ხოლო თავად მისი ავტორი კი ახალი ანუ რეალისტური ხასიათის ლიტერატურის მედრომედ და მთავარ იდეოლოგად მთელს ჩრდილოეთ (და, ალბათ, არამართო ჩრდილოეთ) ევროპაში. ბრანდესი და იბსენი სრულ თანხმობას პოულობდნენ იმაში, რომ მომავალი უნდა დაფუძნებოდა განათლებას, გონიერებას, ემანსიპაციას და ... (არც მეტი და არც ნაკლები- კ.ლ.) ოპონირებას. (ჰემერი 2003: 212)

ცნობილი ნორვეგიელი ლიტერატორი, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი პიერ თომას ანდერსენი თავის წიგნში “ნორვეგიული ლიტერატურის ისტორია” იმომენტებს გადმოცემას, რომლის მიხედვითაც სასიკვდილო სარეცელზე მყოფ იბსენს, როგორც უკანასკნელი სიტყვა, გაბრაზებით წამოუძახია: “პირიქით” (სავარაუდოდ, როდესაც ერთ-ერთი იქ მყოფი არწმუნებდა, რომ თითქოს იგი (იბსენი) გამოჯანმრთელების გზაზე იყო დამდგარი). დანამდვილებით არავინ იცის, მართალია ეს ამბავი თუ არა, მაგრამ მწერლის ეს შესაძლო უკანასკნელი სიტყვა არაერთხელ გამოუყენებიათ როგორც მისი მთელი ცხოვრებისა და, მით უფრო შემოქმედების, ერთგვარი განმსაზღვრელი ნიშანი თუ გასაღები. აქ, როგორც პროფ. ანდერსენი შენიშნავს, ბუნებრივია მხოლოდ (ან იმდენად- კ.ლ.) პოლიტიკურ წინააღმდეგობაზე არაა ლაპარაკი. ხელოვნება წინააღმდეგობას უწევს ყოველგვარ “გაბატონებულ ჭეშმარიტებებს”, ყველაფერს რაც “თავისთავად ცხადია”, ძველ, გადმონაშთ რწმენას და ძველ, გადმონაშთ შეხედულებებს; ან, როგორც ამას იბსენი უწოდებს, “(კვლავანმეორებად) მოჩვენებებს” (“Gjengangere”).

ბევრი აქცევდა და აქცევს ყურადღებას იმ სერიოზულ წინააღმდეგობას, რასაც იბსენის მიერ შექმნილი ე.წ. თანადროული დრამები უწევდა დამთრგუნავ საზოგადოებრივ ნორმებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. დიდი მწერალი მართლაც მწვავედ წარმოაჩენდა საზოგადოებრივ პრობლემებს და ღღესაც არაერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც იბსენის თხზულებები პოლიტიკურ გამოძახილს იწვევს. თუმცა როგორც პროფესორი ანდერსენი სამართლიანად აღნიშნავს, “არაერთხელ მიუქცევიათ ყურადღება (იბსენზე-კ.ლ) როგორც ფსიქოლოგზე და ადამიანთმცოდნეზე, რომელმაც შეძლო გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწია ადამიანის შესახებ ზედაპირული შეხედულებისთვის: იბსენი ფარდას ხდის ფასადს და საფუძველს უყრის (ადამიანის- კ.ლ.) უფრო სიღრმისეულ ფსიქოლოგიურ აღქმასა და შემეცნებას” (ანდერსენი 2001: 235). ეს არის მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება.

თუ კარგად ჩაუკვირდებით, იბსენის დრამები ძალზე იშვიათად გვარიგებენ ჭკუას. უფრო მეტიც, “ჭეშმარიტების ქადაგება” მათში თითქმის არ გვხვდება. “მე კითხვებს ვსვამ. პასუხი კი ჩემი მოწოდება არ არის”, – ამბობს იბსენი ერთ გართულ წერილში. “ვერც პოლიტიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად, იბსენი ვერ გამოდგება ოსტატად როგორც მასწავლებელი” (ანდერსენი 2001: 235). მაგრამ მისი ხელოვნება მოიცავს რისკს და გამოცდას. ეს ერთგვარი აზარტული თამაშია, თამაში რომელსაც ამბივალენტურობისა და აუხსნელი პარადოქსების ხარჯზე ეწევა ავტორი.

იბსენის სიმპათიების მიკუთვნება პოლიტიკური მემარცხენეობის ან მემარჯვენეობის მიმართ, მთლიანობაში, ძალიან ძნელია: მწერალს, როგორც წესი, უპირველეს ყოვლისა ადამიანის შინაგანი განთავისუფლება აინტერესებს. “საზოგადოების ბურჯნიც” სწორედ ამას აჩვენებს, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში გახმაურებული დრამა “თოჯინების სახლი”, რომელიც 1879 წელს დაიწერა. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი- ნორა იძულებულია “თავის თავს დაეხმაროს” ანუ დაიცვას თავი ქმრისგან და მამაკაცების მიერ დომინირებული საზოგადოებისაგან. ხდება ისე, რომ მას არ რჩება არჩევანი და იგი მკაცრად უპირისპირდება როგორც ერთს, ისე მეორეს. “მე უწინარეს ყოვლისა ადამიანი ვარ, ისეთივე ადამიანი, როგორც შენ. ან ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადო, ადამიანი

გავხდე” (იბსენი 1994: 418), - ეუბნება ის ერთ-ერთი კულმინაციური სცენის დროს მეუღლეს. აქამდე ნორა მხოლოდ ქმრის თოჯინა, მისი “ჩიტუნია” იყო. მას ისე ეპყრობოდნენ და ატარებდნენ სხვის ჭკუაზე, როგორც ბავშვს. ნორამ ბევრი რამ გაიღო ქმრის გადასარჩენად. მას ყალბი ხელმოწერის გაკეთებაც კი მოუწია, რათა სესხი აეღო და ავადმყოფი ქმარი სამკურნალოდ წაეყვანა. მაგრამ როგორც კი სკანდალური საქმე გასმაურდა, მეუღლისაგან შეურაცხყოფისა და გაუცხოების გარდა ვერაფერი მიიღო. ასე აცნობიერებს ნორა ერთ მშვენიერ დღეს, რომ თურმე რვა წელი უცნობ ადამიანთან უცხოვრია. იგი ტოვებს ქმარს და ბავშვებს. ქალი სახლიდან მიდის, რათა, როგორც თავად ამბობს, გარკვიოს, ვინაა მართალი: იგი თუ საზოგადოება. ამ დრამამ, შეიძლება ითქვას, გადატრიალება გამოიწვია მსოფლიო ფემინისტური აზრის ფორმირებაში (ამბობენ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ფემინიზმის სინონიმად სიტყვა ნორაიზმსაც კი იყენებენ). პიესას, საზოგადოდ, საკმაოდ მტკივნეულად შეხვდნენ იბსენის თანამედროვეები. ასე, მაგალითად, გერმანიაში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უბრალოდ შეუძლებელი შეიქნა წარმოდგენის ამ ფორმით დასრულება და იბსენი, არც მეტი და არც ნაკლები, იძულებული გახდა, პიესისათვის ალტერნატიული დაბოლოება დაეწერა, რომლის მიხედვითაც ნორა სახლში რჩება (!!!). არაა გასაკვირი, რომ პიესის დასასრულის ამ უკანასკნელ, დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა არ იყოს კომიკურ ვერსიას კარგა ხანია არავინ თამაშობს, მაგრამ ხსენებული ფაქტი შესანიშნავად აჩვენებს, თუ რაოდენ გაბეული და ზოგჯერ, უბრალოდ. რევოლუციურიც კი იყო ის შეხედულებები, რომელიც იბსენის რეალისტური დრამებიდან თუნდაც არაპირდაპირ გამოიმდინარებოდა. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ “თოჯინების სახლი” მაინც არ არის მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. სოციალური დრამა (ამ ტერმინის ვიწრო გაგებით). ეს არის თხზულება, სადაც მთავარი გმირი (ნორა) ვერ პოულობს შესაფერის პასუხს ნამდვილ და ამაღლებულ გრძნობებზე. საქმე გვაქვს გაცრუებული სიყვარულის დრამასთან, სადაც ერთი მხარე თანახმაა დიდი გრძნობისათვის ყველაფერი გაიღოს, მაგრამ სამაგიეროდ ითხოვს თავისას. ამ თხზულების მხატვრული ღირსებები უამრავჯერ აღნიშნულა სხვადასხვა დროისა და ქვეყნის ლიტერატორების მიერ. ამ უაღრესად დინამიურ ნაწარმოებში იბსენი დიდოსტატურად იყენებს მისთვის დამახასიათებელ ე.წ. რეტროსპექტულ ტექნიკას. ხშირად სრულიად შეუდარებელია პიესის დიალოგებიც...

“ჩვენ ვერ ვგებულობთ, თუ რა შემთხვევა ნორას, როცა ის წავიდა. მაგრამ “მოჩვენებანში” ჩვენ ვგებულობთ თუ რა გადახდა ქალბატონ ალვინგს, როცა ის დარჩა” (ტვეტეროსი... 1981: 96) – ვინ იცის, იქნებ მართლაც სწორედ პიესით- “მოჩვენებანი” უპასუხა იბსენმა ნორას “თავზარდამცემი” საქციელის გამო მისკენ მიმართულ კრიტიკას. ისე, ქალბატონი ალვინგიც დაქორწინებული იყო და ისიც აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც არჩევანი უნდა გაეკეთებინა. თუ ნორას ქმარი ძირითადად წესიერი კაცია, ასე თუ ისე ჩვეულებრივი სისუსტეებით, ამას ბატონ ალვინგზე ვერაფრით ვიტყვი. სხვა ყველაფერთან ერთად, იგი ცოლსაც დალატობდა და უკანონო ქალიშვილიც გააჩინა. მაგრამ ალვინგის სიკვდილის შემდეგ მისი ქვრივი ყოველმხრივ ცდილობს დაფაროს და შეალამაზოს მისი გარდაცვლილი ქმრის უზნეობა, შეინარჩუნოს და მაქსიმალურად შეალამაზოს ფასადი. ეს კი არაა, ქმრის უკანონო ქალიშვილიც მისი მზრუნველობით სარგებლობს. მალე ბავშვთა თავშესაფარიც მოეწყო და იქნება მყარი საფუძველი ბატონი ალვინგის, როგორც ღირესული კაცის, სახელის წარმოჩენისათვის. მაგრამ ეს ყველაფერი არც მთლად ისე ადვილია. “მოჩვენებანი” არ ისვენებენ, წარსულს ვეღარ ჩაასწორებ (მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნორვეგიულ ენაში სიტყვა რომელიც მოჩვენებებს გამოხატავს, აგრეთვე აღნიშნავს იმასაც, რაც კვლავ მეორდება. ასე, რომ იბსენის მიერ პიესის სათაურად ამ სიტყვის შერჩევა, ბუნებრივია, სრულიადაც არაა შემთხვევითი). მამა ალვინგის უბედურება ახლა მის ვაჟში ცოცხლობს უკურნებელი სქესობრივი ავადმყოფობის სახით. ქალბატონი ალვინგი კი იძულებულია დაფიქრდეს, ხომ არ იქნებოდა ქმარი სხვანაირი, თავად ისიც რომ სხვანაირი ყოფილიყო. ამ ნაწარმოებით იბსენმა დიად გამოიწვია საზოგადოება (სრულიად აშკარაა, რომ იბსენის მიხედვით, ქალბატონ ალვინგისეულ ე.წ. ვალდებულების მორალს საქმე მხოლოდ უბედურებისაკენ მიჰყავს). “მოჩვენებანი” (1881წ.) აღქმულ იქნა როგორც ერთ-ერთი ყველაზე (თუ ყველაზე უფრო არა) სკანდალური თხზულება მთელს ნორვეგიულ ლიტერატურის ისტორიაში. თავად ყველაზე ცნობილი ლიბერალები და “თავისუფლად მოაზროვნეებიც” კი ცალსახად გაემიჯნნენ თხზულებისეულ “საზიზღრობებს”, რომელიც სქესობრივ ავადმყოფობებსა და ინცესტს ეხებოდა. ყველასთვის მიუღებელი აღმოჩნდა ისიც, რომ ნაწარმოებში საუბარი იყო ე.წ. აქტიურ დახმარებაზე ავადმყოფობისას სიკვდილის დაჩქარების მიზნით (ევთანასია). გერმანიაში პიესა უბრალოდ აიკრძალა, ნორვეგიაში თეატრები წლების განმავლობაში უარს ამბობდნენ მის დადგმაზე, კრიტიკა თავს ესხმოდა მწერალს. თითქმის ვერაგინ გაბედა გამოსარჩლებაც. თუმცა, ერთ-ერთი ვინც იბსენი დაიცვა,

აღმოჩნდა ბერძნულის პროფესორი, გვარად შეთი, რომელმაც ოჯახურ ტრადიციასთან და საზოგადოებრივ დრამასთან ერთად ხსენებულ პიესაში აღმოაჩინა “ანტიკური ტრადიცია, აღმდგარი თანამედროვე მიწაზე {...} ყველაზე ძლიერად მხატვრული ქმნილება, რომელიც თავად მას (იბსენს- კლ.) და ჩვენს დრამატულ ლიტერატურას აქმდე შეუქმნია” (ბეიერი... 1996: 198). მთლიანობაში იბსენი ძალზე შეურაცხყოფილად გრძობდა თავს და, როგორც ჩანს, საკმაოდ გაბრაზდა კიდევ, რაც მის შემდგომ პიესაში- “ხალხის მტერი” საკმაოდ შეუფარავად ჩანს.

სტოქმანი კურორტის ექიმა, რომელიც აღმოაჩენს, რომ მისი საკურორტო ქალაქის გამაჯანსაღებელ აბაზანებში წყალი დაბინძურებულია. ეს ეხება აგრეთვე მოსახლეობის სასმელ წყალსაც. ექიმი მადლობას ელის ამ აღმოჩენისათვის როგორც აბაზანების, ისე ქალაქის მესვეურთაგან, ჰკონია რა, რომ მალე ეს უკანასკნელნი ახალ წყალგაყვანილობაზე იზრუნებენ. მაგრამ ირკვევა, რომ მწარე შეცდომას უშვებს. “ძლიერი ამა ქვეყნისანი (ქალაქისანი)”, რომელთა შორის თავად ექიმის ძმაც არის, პირიქით, ვითარების ჩაფარცხვას შეეცდებიან: მათთვის საქმე სახელის შელახვას ეხება, აგრეთვე გასათვალისწინებელია თუ რა დაჯდება ახალი გაყვანილობის მოწყობა და ისიც საგულისხმოა, თუ რა დანაკარგებს გამოიწვევს ქალაქისათვის აბაზანების თუნდაც დროებით დაკეტვა, როცა გაყვანილობის განახლება უნდა განხორციელდეს. ამის გამგონე ექიმი სტოქმანი ამბობს იწყებს. ის საჯარო შეკრებას აწყობს, სადაც ამაღელვებელი სიტყვით გამოდის. მისი აზრით, არა მარტო წყალი, არამედ მთელი საზოგადოებაა დაბინძურებული. სიმართლეს და თავისუფლებას მტრები ჰყავს როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ. თუმცა კონსერვატორებზე კიდევ უფრო საშიში ლიბერალები არიან. ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ და ის სიმართლე რომლის ირგვლივაც უმრავლესობა თავს იკრებს, სინამდვილეში მოძველებული და არაფრისმოძვეცია. სიმართლე რომელსაც მომავალი გააჩნია მხოლოდ იმ მცირერიცხოვანთა ხელშია, რომლებიც მოწინავე ფრონტზე იბრძვიან. სწორედ ისინი არიან გზისგამკვალავნი (სტოქმანი, არაა გასაკვირი, თავის თავს მათ რიგებს აკუთვნებს) და იქ დგანან, სადაც “დაწყვეტილი, მყარ, ლიბერალურ უმრავლესობას” ჯერ კიდევ არ მიუღწევია. როცა უმრავლესობა იქ მიადევს, სიმართლე უკვე ახალი უმცირესობის ხელში იქნება, ვინაიდან, როგორც სტოქმანი ამბობს: “ჩვეულებრივი, ნორმალური სიმართლე, როგორც წესი, 17-18, დიდი-დიდი 20 წელი ძლებს”.

იყო დრო, როცა იბსენს კონსერვატორებს აკუთვნებდნენ (1869 წელს პიესის- “ახალგაზრდათა საზოგადოება” გამოსვლის შემდეგ). მოგვიანებით, რაც 1877 წელს დღის სინათლე იხილა მისმა დრამამ- “საზოგადოების ბურჯნი”, იბსენი მემარცხენედ და სოციალისტადაც კი შერაცხეს, განსაკუთრებით ნორვეგიის საზღვრებს გარეთ. საგულისხმოა, რომ პიესამ- “ხალხის მტერი” (1882წ.) საბოლოოდ გაფანტა ილუზიები იბსენის მხრიდან რომელიმე პოლიტიკური ფრთის სიმპატიამი. თუმცა დედააზრი, რომელიც ექიმ სტოქმანის ტრადიციულად ჩადებული, თავისთავად, სულაც არ იყო იბსენის მხრიდან ახალი. ჯერ კიდევ 1872 წლის აპრილში წერდა იგი გეორგ ბრანდესს: “ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ძლიერი ისაა, ვინც მარტოა” (ბეიერი... 1996: 198). ექიმ სტოქმანის მიერ წარმოქმნილი არსებითად იგივე ფრაზით მთავრდება პიესაც- “ხალხის მტერი”. რა თქმა უნდა, ცოტა არაა ისეთი ადამიანი, ვისაც უჭირს, ერთის მხრივ, ამ დრამაში გატარებული აზრები და, მეორეს მხრივ, საზოგადოდ, დემოკრატიული პოლიტიკური იდეოლოგია ერთმანეთთან გააერთიანოს. სტოქმანის ვრცელი სიტყვა საჯარო შეკრებაზე უეჭველად იმ გულის ამომახილია, რომელსაც, მთლიანობაში, სერიოზული ეჭვი შეაქვს დემოკრატიულ ღირებულებებში. თან არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ თავად ავტორი, რომელმაც ეს პერსონაჟი შექმნა არც ცხოვრებაში იყო განსაკუთრებულად მაღალი აზრის მის თანადროულ დემოკრატიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ იბსენის რეალიზმი არამარტო მეტად ორიგინალური, არამედ საკმაოდ არაერთგვაროვანი მოვლენაა. იგი ხშირად გვევლინება მე-19 საუკუნის სხვადასხვა კულტურულ და ლიტერატურულ ტენდენციათა ერთგვარი გადაკვეთის ხაზზე. ეს მნიშვნელოვანწილად ეხება იბსენის ე.წ. ფსიქოლოგიურ დრამებს, რომელთა შორის სახელდება “გარეული იხვი”, “ზღვის ასული”, “როსმერჰოლმი” და სხვა (ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს დრამები, შესაძლოა, ერთგვარად არღვევენ კიდევ ტრადიციული რეალიზმის საზღვრებს და იბსენის შემოქმედებაში ახალი, სიმბოლისტური ფაზის დადგომას მოასწავებენ). “არა მგონია, ამის კიდევ უფრო გაუმჯობესება ადვილი იყოს”, - წერდა იბსენი მეუღლეს, როცა 1884 წელს პიესა- “გარეული იხვი” დაამთავრა. და, ალბათ, მართალიც იყო, ვინაიდან მოგვიანებით ამ ნაწარმოებს დიდოსტატის დიდოსტატური თხზულება უწოდეს. როცა მწერალმა თავის გამომცემელს მიწერა, რომ ეს დრამა განსხვავდებოდა მის მიერ შექმნილი სხვა ნაწარმოებებისაგან, ამაშიც სავესებით მართალი იყო მხატვრული სიტყვის სკანდინავიელი დიდოსტატი. ხსენებულ თხზულებაში ტრადიცია და კომედია იმდენადაა ერთმანეთს

შეზრდილი, რომ განხილვის საგნადაც კი იქცა თუ რა ჟანრს განეკუთვნება იგი. აქ სოციალური გარემოებებიც სხვაა ვიდრე ადრინდელ დრამებში: საქმე უბრალო, დაბალი სოციალური სტატუსის, ეკონომიურად შეჭირვებულ ხალხს ეხება. ერთის მხრივ, ნაწარმოები თითქოს ისევე აშკარად რეალისტურია როგორც ქრონოლოგიურად უწინდელი დრამები, იმავდროულად (მასში) “სიმბოლო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თხზულება მის მიხედვითაა სახელდებული” (ტვეტეროსი... 1981: 97). რა მნიშვნელობა და ღირებულება აქვს სიმართლეს ადამიანებისათვის?! იქნებ ამ საწყაალ არსებებს აუცილებლად ჭირდებათ “ცხოვრებისეული სიცრუე”, რომ არსებობა შეძლონ?! სიმართლის მქადაგებელი გრეგერს ვერლე, თავისთავად თითქოს კეთილისმსურველია ადამიანებისთვის, მაგრამ რა მოაქვს ამ დესტრუქციული იდეალისტის საქციელს უბედურების მეტი?! ეს ბრანდის კარიკატურა (როგორც მას ლიტერატურათმცოდნეებმა მოხდენილად უწოდეს), ისე როგორც ექიმი სტოქმანი მეტად მწარე მარცხს განიცდის. გრეგერს ვერლეს ამ ე.წ. იდეალიზმს საშინელება მოსდევს. ის სპობს საოცრად ძვირფასს და ღირებულს- უცნაურზე უცნაურ ბავშვს, პატარა ჰედვიგს, რომელიც ჩათვლის, რომ გრეგერის მიერ ამღვრეული ვითარების განსამუხტავად საჭიროა საკუთარი თავი მსხვერპლად გაიღოს (სხვათა შორის, უდანაშაულო ბავშვები იბსენის იმ დრამებშიც ილუბებიან, სადაც სხვა პერსონაჟებსაც აქვთ ე.წ. ცხოვრებისეული მოწოდება. ასე, მაგალითად ბრანდს, ამავე სახელწოდების დრამაში და ალფრედ ალმერს დრამაში- “პატარა ელიოფი”).

როგორც კარგადაა ცნობილი, 1890-იანი წლების დასაწყისში ჰენრიკ იბსენს თავს დაატყდა განმაქიქებელი კრიტიკა ნორვეგიული და მსოფლიო ლიტერატურის ამომავალი ვარსკვლავის, მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატის- კნუტ ჰამსუნის მხრიდან. 1891 წელს ჰამსუნი ნორვეგიის გარშემო მოგზაურობდა თავისი მოხსენებებით თანამედროვე ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე (ჰამსუნი 1960). ამ მოხსენებებისას ის, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ლიტერატურულ თვითდამკვიდრებაზე და თავისი ღირსებების წინ წამოწევაზე ზრუნავდა სხვა, უკვე აღიარებულ მწერალთა ხარჯზე. მეტწილად, ალბათ, ამ ამოცანამ განსაზღვრა ჰამსუნის მოხსენებების აგრესიული ტონიცა და ანალიზის ცალმხრივობაც. ახალგაზრდა მწერალი მოდერნისტული ლიტერატურის პოზიციებიდან აკრიტიკებდა იბსენს და მის გმირებს ზედაპირულობასა თუ ფსიქოლოგიურ არადამაჯერებლობას უკიჟინებდა. ამასთან ერთად, ამ მოხსენებებში “ჰამსუნის პოლემიკური ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის აგებს იბსენის სურათს, რომელსაც შემდგომში თავის სატირული ტალანტითა და განთქმული ირონიით ძირს ანარცხებს და აბსურდად აქცევს” (ბრინჰილდსვოლლი 2001). ახალგაზრდა ჰამსუნი შეგნებულად ეწევა იბსენის შემოქმედების სქემატიზებას და თვითმიზნურ გამარტივებას, ხოლო შემდგომ ამ, მის მიერვე გამარტივებულ და სქემატ ქცეულ, ვერსიას ესხმის თავს. ძალიან უცნაურია, რომ ჰამსუნმა იბსენის დრამატურგიის ე.წ. ზედაპირულობის დასაბუთებისათვის შეარჩია ისეთი, ამ თვალსაზრისით სრულიად შეუფერებელი, დრამა, როგორიცაა “როსმერჰოლმი” (1886წ.). ეს თხზულება თავისი მკვეთრად გამოხატული მისტიკური საფენელით საკმაოდ გამორჩეულია იბსენის შემოქმედებაში, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, თავად სიგმუნდ ფროიდიც კი, რომელიც, საზოგადოდ, დიდად აფასებდა იბსენს, როგორც მწერალს სახელგანთქმულს “ფსიქოლოგიური ანგარიშის ჩაბარებით”, სწორედ ხსენებული ნაწარმოებით იყო განსაკუთრებულად დაინტერესებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნის აზრით, იბსენს და ჰამსუნს სინამდვილეში უფრო მეტი რამ აერთიანებთ ესთეტიკური და ლიტერატურული თვალსაზრისით, ვიდრე აშორებთ. თანამედროვე გამოკვლევებში კი სულ უფრო და უფრო თამამად გამოითქმის აზრი, რომ იბსენის შემოქმედება არა მარტო მსოფლიო რეალიზმის უთვალსაზრისო მწვერვალია, არამედ ევროპული მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილიც არის (მოი 2008).

#### ლიტერატურა:

- ანდერსენი 2001: Andersen, Per Thomas. *Norsk litteraturhistorie*. Oslo : Universitetsforlaget, 2001
- ბეიერი... 1996: Beyer, Harald og Edvard, *Norsk litteraturhistorie*. Oslo : Tano Aschehoug, 1996
- ბრინჰილდსვოლლი 2001: Brynhildsvoll, Knut. *Hamsun contra Ibsen - Fra polemisk provokasjon til*

*estetisk program: En misforståelse og dens litteraturhistoriske sementering.*  
Accessed 23.10.2001; available from <http://www.ibsen.net/?id=2187>

- ჰამსუნი 1960: Hamsun, Knut. *Paa turne : tre foredrag om litteratur*. Oslo : Gyldendal, 1960
- ჰემერი 2003: Hemmer, Bjørn. *Ibsen : kunstnerens vei*. Bergen-Oslo : Vigmostad Bjørke Ibsen-museene i Norge, 2003
- იბსენი 1994: იბსენი, ჰ. *დრამები. ტ.1.* (თარგმ. ბ. ბრეგვაძისა). გამომცემლობა "ირმისა", 1994
- მოი 2008: Moi, Toril. *Henrik Ibsen and the birth of modernism : art, theater, philosophy*. Oxford : Oxford University Press, 2008
- ტვეტეროსი... 1981: Tveterås, Alf; Hanssen, Per Vogth; Nøklestad, Hans Olaf. *Fra saga til samtid: : norsk litteraturhistorie*. Oslo : Fabritius Forlagshus, 1981